# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (9.905)

30 ნოემბერი-7 დეკემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ბიძინა ივანიშვილი 20 ივნისის აქციაზე: განვიცდი, რომ დაზიანდნენ მოქალაქეები

გვ. 2

## „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომლები ბრძოლას განაგრძობენ



გვ. 3

## ეს სასიამოვნოდ დამღლელია



გვ. 5

## ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულეს



ქალაქ დედოფლისწყაროში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ამ ეტაპზე ქ. დედოფლისწყაროში დასკვნით ეტაპზეა სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობა, ასევე ქიზიყის ქუჩასა და კონსტიტუციის ქუჩის მონაკვეთზე მიმდინარეობს საკანალიზაციო სისტემის მონტაჟი, ხოლო პუშკინის ქუჩაზე -სკვერის მოწყობა.

## 1 დეკემბერი – შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე

გვ. 7



## ნდობა,როგორც ურთიერთობების ქვაკუთხედი




გვ. 8

# ბიძინა ივანიშვილი 20 ივნისის აქციაზე: განვიცდი, რომ დაზიანდნენ მოქალაქეები

ეს გუნდი თავის ბელადისთვის იღწვის,- ამის შესახებ განცხადება ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედთან' გააკეთა. მისი თქმით, "ნაციონალური მოძრაობა" და მათი ბელადი ცდილობს, როგორმე დაბრუნდეს ხელისუფლებაში და ამას უკავშირდება ის აქციებიც, რომელსაც "კმარა" და მსგავსი დაჯგუფებები აწყობენ.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, "ენმ-ს ბელადისგან განსხვავებით, ის დემოკრატია და არასდროს დიქტატორი არ ყოფილა". მისივე თქმით, 0%-ია იმის, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

ბიძინა ივანიშვილი 20 ივნისის აქციასაც გამოეხმაურა. მისი თქმით,სამწუხაროა, რომ დაშავდნენ მოქალაქეები, თუმცა ქვეყანამ შეინარჩუნა სახელმწიფო ინსტიტუტები.

„20 ივნისს ორი მხარე აქვს, გასაგებია, რომ ამბოხის მსგავსი რაღაც იგეგმებოდა, სამწუხაროდ, დაზიანდნენ მოქალაქეები და ჩვენ ყველა განვიცდით ამას. მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტების შენარჩუნება მოხერხდა,"-განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„ვერავითარი გადატრიალება ვერ მოხდება, ეს წარმოუდგენელია" - განაცხადა „ქართული ოცნების" ლიდერმა. მისი თქმით, დღეს სახელმწიფო გადატრიალების შანსი ოპოზიციას არ აქვს, როგორც ეს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ედუარდ შევარდნაძეს ჰყავდა სუსტი გუნდი, "ქართული ოცნება" კი საკმაოდ ძლიერია. ის ასევე შეეხო იმ პოლიტიკური სუბიექტების წარსულსაც, რომლებიც დღეს ერთად დგანან აქციაზე.

გაკოტრებული პოლიტიკოსები არიან-ასე აფასებს ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციური პარტიების გაერთიანებას. „ქართული ოცნების" ლიდერი ამბობს, რომ გაკოტრებული პოლიტიკოსების ხვედრია ის, რომ მნიშვნელობა აღარ აქვს ვინ ვისთან დაჯდება. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით ქვეყანაზე ზრუნვის განცდა მათ დაკარგული აქვთ.

„პრობლემა ის არის ამ პოლიტიკოსების სამშობლოს მართვას რომ იბრალებენ, სამშობლო აღარ ახსოვთ. იმდენად ერთნაირი ხასიათი აქვთ, რომ გაოცდები, რის გამო არიან გაერთიანებული,"-განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული კანონპროექტი ჩავარდა, პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლა. სამოქალაქო აქტივისტები პერმანენტულ აქციებს მართავენ. ოპოზიციური პარტიები კი გაერთიანედნენ. ბიძინა ივანიშვილმა ბოდიში მოუხადა საზოგადოებას იმის გამო, რომ მან დაპირება ვერ შეასრულა:

ჩემგან გაკეთებული განცხადება არის მიზეზი დღევანდელი ხმაურისაასე "ქართული ოცნების" ლიდერი საპროტესტო აქციებს გამოეხმაურა. მისი თქმით, ბევრი "ხელოვნური ხმაური" უნახავს, თუმცა, ამ შემთხვევაში, პროტესტი ნამდვილად მოჰყვა მის განცხადებას, რომელიც პროპორციულ სისტემაზე გადასვლას უკავშირდებოდა.

"სამწუხაროა, რომ ჩვენ ჩვენი დაპირება ვერ შევასრულეთ. დაზიანდა გუნდი. ნებისმიერი პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი განიცდის, რომ ამბობს და მერე ვერ ასრულებს. თუ ჰპირდები უნდა გააკეთო, რა თქმა უნდა, განვიცდი პირადად, განიცდიან გუნდშიც. ისინიც განიცდიან ვინც მხარი არ დაუჭირა,"-განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, თუ კი პრაგმატულად მოხდება მოვლენების შეფასება, არაფერი დრამატული არ მომხდარა, რადგან მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოში არის, რომ პოლიტიკოსმა გასცა დაპირებას და ვერ შეასრულა. მისივე თქმით იმის აუცილებლობა, რომ პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს არ არსებობს. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მაშინ როდესაც ენმ ითხოვს სამართლიან არჩევნებს, მაშინ კითხვა უნდა დაისვას ასე: ანუ მანამდე უსამართლოდ ტარდებოდა არჩევნები?!

მისივე თქმით ამომრჩეველმა არჩევნებზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება "დასჯის თუ არა ოცნებას" თუმცა იმ პირებს ვინც დღეს ქუჩაში დგას, პრეტენზიების გამოთქმის უფლება არ აქვთ.

"ქართული ოცნების" ლიდერმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები, "დედის ინსტიტუტის" დანგრევას უკავშირდება.

„ამდენი დამაწყნარებელი, რაც ერთ წელიწადს იყიდება, შეიძლება ასწლეულებში არ გაყიდულა. პრობლემა თითქოს ძალიან მარტივია მაგრამ არავინ დამნახავი არაა. დედის ინსტიტუტის დანგრევამ ძალიან ბევრი ფასეულობები დაანგრია. თუ მოვახერხე და წავედი პოლიტიკიდან, მინდა დარჩენილი წლები საზოგადოებას მოვუწოდო, რომ ჩვილი ბავშვი უნდა აღზარდოს დედამ. კარგია ეს გენდერული თანასწორობა, რაც დღეს მოდაშია, მაგრამ ადამიანს აღზრდაში უნდა მონაწილეობდეს დედა,"-განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## გიორგი გახარია: ბატონმა ბიძინამ, გულწრფელად, ღიად უპასუხა საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს

ჩემთვის რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ბატონმა ბიძინამ აბსოლუტურად, გულწრფელად, ღიად უპასუხა საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს შეფასებისას ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხაზგასმა იმისა, რამდენად რთულია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების სრული დაცვით ქვეყნის მართვა წარმატებულად.

" ეს ის გამოწვევა და ვალდებულებაა, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ. მარტივია ქვეყნის მართვა, როდესაც შენს ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს იყენებ უკანონოდ, ძალადობრივად. რთულია ქვეყნის მართვა, როდესაც აბსოლუტურად დემოკრატიულ, თავისუფალ გარემოში, სადაც მედია სრულად თავისუფალია, გამოხატვის თავისუფლებას არაფერი ემუქრება, სადაც ისეთი დემოკრატია და გამოხატვის თავისუფლება გვაქვს, რომ ზოგიერთები პარლამენტის შტურმს და ბლოკირებას გამოხატვის თავისუფლებად აღიქვამენ. ის მიზანი, რომელიც ჩვენ ინტერვიუში დავინახეთ, ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია და ეს არის ის, რა მიმართულებითაც ჩვენ ვმუშაობთ",- აღნიშნა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია "იმედს" ვრცელი ინტერვიუ მისცა, რომელის ჩანაწერიც 27 ნოემბერს გავიდა ეთერში.

## CNN: აშშ ნატოს დაფინანსებას ამცირებს - თანხას საქართველოს და უკრაინას მოახმარს

აშშ-ს პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის კოლექტიურ ბიუჯეტში შენატანის შემცირებას გეგმავს, ხოლო დაზოგილ თანხას უკრაინასა და საქართველოში პროგრამებს მოახმარს. ამის შესახებ ტელეკომპანია ჩNN იუწყება.

როგორც ამერიკულ ტელეკომპანიას პენტაგონის მაღალჩინოსანმა განუცხადა, NATO-ს ბიუჯეტის 22% ვაშინგტონის შემოწირულობებით ივსებოდა. ახლა კი იგეგმება მისი 16%-მდე შემცირება.

მისი თქმით, დაზოგილ თანხას აშშ ევროპაში სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში თავის ძალისხმევას მოახმარს. მათ შორის არის უკრაინისა და საქართველოს დახმარების პროგრამები.

CNN-ის ცნობით, ალიანსში შემავალი სხვა ქვეყნები მოახდენენ ამ დანაკლისის კომპენსირებას, რომელიც ამერიკის შემცირებით იქნება გამოწვეული.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, თეთრმა სახლმა ნატო-სთან საერთო ბიუჯეტში შენატანის საკითხი უკვე შეათანხმა.

## გომელაური: იმიტომ გადავკეტეთ, რომ ცეცხლი არ დაანთონ - თუ გზებს გადაკეტავენ, დავშლით

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, თუ აქტივისტები ქუჩას გადაკეტავენ და მოქალაქეებს დისკომფორტს შეუქმნიან, შსს შესაბამის ზომებს მიიღებს. მინისტრი ბარიკადებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ პარლამენტის მიმდებარე ქუჩები რკინის ჯებირებით მოსახლეობის დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად გადაიკეტა.

,,იმიტომ გადავკეტეთ, რომ ისევ არ მოხდეს ცეცხლის დანთება, პიკეტირებები და დისკომფორტი არ შეუქმნან ხალხს. დაიშლება აქცია თუ დაიწყებენ გზის დაკეტვებს, ცეცხლის დანთებებს, გადაკეტავენ მთელ ქალაქს, რა უნდა ვქნათ, სახლში უნდა წავიდეთ?", - განაცხადა გომელაურმა.

აქციის მონაწილეები საკანონმდებლო ორგანოს პიკეტირებას აპირებდნენ, თუმცა პოლიციის მიერ, პარლამენტის ყველა მიმდებარე ქუჩა ჩაკეტილია და ბარიკადებით არის შემოსაზღვრული.

## ირაკლი კობახიძე - რკინის ბარიერი არის უკანონო და პარლამენტის ბლოკირება კანონიერი?

რკინის ბარიერი არის უკანონო და პარლამენტის ბლოკირება კანონიერი? რა „ელიტა ბურჯზეა" ლაპარაკი, შსს-ს გაუჭირდა ბარიერების დაყენება? - ასე ეხმიანება პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ოპოზიციის ბრალდებებს პარლამენტთან გუშინ განთავსებულ რკინის ჯებირებთან დაკავშირებით.

ირაკლი კობახიძის თქმით, ყველამ კარგად იცის, რომ არაკანონიერი სწორედ პარლამენტის ბლოკირებაა.

„ამ რკინის ბარიერმა გაამწარა ოპოზიცია, წყლის ჭავლის გამოყენება აღარ გახდა საჭირო, იმიტომ, რომ უკვე პრევენციული ზომები იყო მიღებული. ამაზე გამწარებულები შემოვარდნენ ეზოში ორი თუ სამი კაცი, მელია, ხოშტარია და სხვები და იქ სცადეს აგრესიის გამოწვევა. მართალია საკადრისი და მძიმე პასუხი გაეცათ, მაგრამ ეს ყველაფერი მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. ოპოზიცია იყო გამწარებული, რომ პოლიციას არ მოუწია წყლის გამოყენება", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## გია ვოლსკი: მათ უნდა რევოლუციური რეჟიმი, რომელსაც სააკაშვილი 2014 წლიდან აანონსებს

მათ უნდათ ის რევოლუციური რეჟიმი, რომელსაც სააკაშვილი 2014 წლიდან აანონსებდა, — ასე შეაფასა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ საკანონმდებლო ორგანოსთან მიმდინარე საპროტესტო აქციები.

ვოლსკის თქმით, თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ" გაცილებით დიდი წვლილი შეიტანა პროპორციული საარჩევნო სისტემის ჩაგდებაში, ვიდრე იმ ადამიანებმა, ვინც ამას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ.

„ნაციონალური მოძრაობისთვის" გამარჯვების პერსპექტივის არგამოჩენა იმ აგრესიას განაპირობებს, რაც დღეს აქვთ. როცა გულზე მჯიღს ირტყამენ და ამბობენ, რომ მათი პოპულარობა დღითი დღე იზრდება, გამოვიდნენ არჩევნებში და მიიღონ მონაწილეობა. მათ უნდათ ის რევოლუციური რეჟიმი, რომელსაც სააკაშვილი 2014 წლიდან აანონსებდა. ხედავთ რა ხდება ეს არის დესტრუქციული ძალა," — განუცხადა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს.

## აზარტული თამაშების რეგულაციებზე იმსჯელებენ

მთავრობის ადმინიტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ანა დოლიძის მიერ ინიცირებული პეტიცია აზარტული თამაშების რეგულაციებისა და მათი რეკლამირების აკრძალვაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ექსპერტთა კომისიას გადაეცემა.

„საქართველოს მთავრობის ელექტრონული პეტიციების პორტალზე იცჰანგე.გოვ.გე მოქალაქე ანა დოლიძის მიერ ინიცირებული პეტიცია აზარტული თამაშების რეგულაციების შემოღებისა და მათი ყველა სახის რეკლამის აკრძალვის შესახებ გამოქვეყნდა 2019 წლის 4 ნოემბერს. პეტიციის მხარდამჭერი ხელმოწერების მოგროვებისთვის გამოყოფილი 30-დღიანი ვადის გასვლამდე აღნიშნულმა პეტიციამ მოაგროვა საჭირო ხელმოწერების რაოდენობა — 10 000 (ათი ათასი) ხელმოწერაზე მეტი. კანონმდებლობის თანახმად, პეტიცია გადაეცემა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში არსებულ ექსპერტთა კომისიას დასამუშავებლად და შემდგომი განხილვისთვის მოსამზადებლად. დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია სამი კალენდარული თვის განმავლობაში გამოაქვეყნებს პეტიციის გვერდზე ოფიციალურ წერილობით პასუხს. საქართველოს მთავრობამ ელექტრონული პეტიციების შესახებ დადგენილება მიიღო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის გასაუმჯობესებლად," - აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.

შეგახსენებთ, ანა დოლიძემ 10 000 ხელმოწერა აზარტული თამაშების რეგულაციების მოთხოვნაზე შეაგროვა.

# „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომლები ბრძოლას განაგრძობენ

## სახელმწიფო ინსტიტუტები ავამოქმედეთ...

ქართულ-ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომლებმა, რომელთაც რამდენიმეთვიანი სახელფასო დავალიანება აქვთ, კომპანიის გენერალურ დირექტორთან ზაზა მამულეიშვილთან მშვიდობიანი დიალოგის ყველანაირი ფორმა ამოწურეს. ამერიკის საელჩოსთან გამართული აქციის შემდეგ დაზარალებულებმა ბრძოლის სამართლებრივი ტაქტიკა აირჩიეს – „ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოსაც“ მიმართეს და სარჩელი სასამართლოშიც შეიტანეს.

27 ნოემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსთან, გიორგი ტატიშვილთან ერთად ნავთობკომპანია ,,ფრონტერას“ თანამშრომლებს შეხვდა.

,,ფრონტერას“ წარმომადგენელთა განმარტებით, კომპანიას მათთვის ხელფასი 10 თვის განმავლობაში არ გადაუხდია. როგორც სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, „მათ „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიასთან“ დიდი ხანია, პრობლემები ჰქონდათ. კერძოდ, „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიამ მათ მოპოვებული ნავთობის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მისცა. ამ საქციელისთვის „ფრონტერა“ დაჯარიმდა კიდეც. საჯარიმო სანქციამ 5000 ლარი შეადგინა. როგორ რეგულირებოდა ურთიერთობა კომპანიასა და დასაქმებულებს შორის, არც ამის შესახებ გააჩნდა სააგენტოს ინფორმაცია, ვიდრე თქვენ არ მოგვაკითხეთ“- აღნიშნა ტატიშვილმა.

გიორგი ტატიშვილმა ზაზა მამულეიშვილი ტყუილშიც ამხილა, როცა მისი ნათქვამი, თითქოს სახელმწიფოს ჰქონდა გარკვეული დავალიანება ნავთობკომპანიის მიმართ, გააბათილა: „სახელმწიფოს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ მიმართ არცერთი თეთრის დავალიანება არ გააჩნია“-განაცხადა შეხვედრაზე გიორგი ტატიშვილმა. შეხვედრაზე კიდევ ბევრი სამართალდარღვევა გამჟღავნდა დასაქმებულთა მხრიდან: **მაგალითად, ის ფაქტი, რომ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა შრომითი ხელშეკრულების პირობები თვითნებურად დაარღვია და თანამშრომლებს შრომის ანაზღაურება ყოველგვარი წერილობითი შეთანხმების გარეშე შეუმცირა; 5500 ტონა მოპოვებული ნავთობის რეალიზაციის მიუხედავად, მათი სახელფასო დავალიანების გასტუმრება არათუ არ მოხდა, არამედ გაიზარდა კიდეც, იმ მოტივით, რომ კოპანიას სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი ვალი ჰქონდა გასასტუმრებელი...**

,,მიუხედავად იმისა, რომ საწარმო კერძოა და ეს არის კერძო სუბიექტებს შორის დავა, მასში 130-ზე მეტი დედოფლისწყაროელი მუშაობს, ჩვენთვის თითოეული თანამემამულის ბედი მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს მაქსიმალურად დაიცავს“-აღნიშნა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

გიორგი ტატიშვილის განცხადებით, თუ ,,ფრონტერასა“ და სახელმწიფოს შორის გარიგება შედგება, ხელისუფლების N 1 პირობა კომპანიის მიერ სახელფასო დავალიანებების დაფარვა იქნება. სააგენტოს ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ არსებობს ალტერნატიული გზებიც.მათ შორის სასამართლოს განჩინება. ნებისმიერი მათგანის განხორციელების შემთხვევაში კი ,,ფრონტერას“ თანამშრომელთა ინტერესები დაცული იქნება.

დაზარალებულმა თანამშრომლებმა 28 ნოემბრიდან საყოველთაო გაფიცვა დააანონსეს და აღნიშნეს, რომ ეს იძულებითი ნაბიჯია, რათა კომპანიის უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობამ მოპოვებული ნავთობის რეალიზაცია არ მოახდინოს. იმისთვის, რომ ჭაბურღილებზე გამოცხადდნენ, მათ ამისთვის აღარც საწვავი აქვთ და აღარც ტრანსპორტი ემსახურებათ. „ფრონტერას“ თანამშრომლებმა საქმის კურსში ჩააყენეს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, რათა მათ მიიღონ საჭირო ზომები, ჭაბურღილების მიტოვებამ რაიმე ეკოლოგიური კატასტროფა რომ არ გამოიწვიოს.



ნავთობკომპანიის წარმომადგენლებმა ნიკოლოზ ჯანიაშვილსა და გიორგი ტატიშვილს თანადგომისათვის მადლობა გადაუხადეს და იმედი გამოთქვეს, რომ პრობლემა უახლოეს პერიოდში მოგვარდება.

„ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომელთა განცხადებით, მათ ახლა უკვე სახელმწიფო ინსტიტუტები აამოქმედეს: „აქამდე თავს ვიკავებდით, რომ საქმე სასამართლოში შეგვეტანა, რადგან არ გვეგონა, რომ კომპანია, რომელიც 1997 წლიდან ოპერირებს და რომლის ხელმძღვანელიც ზაზა მამულეიშვილია, ასე გაგვწირავდა. ეს კომპანია ჩვენს მეორე ოჯახად იქცა, ამიტომ ვუფრთხილდებოდით, გვეგონა, სიტუაცია შიგნით მოგვარდებოდა, მაგრამ, მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ახლა სახელმწიფო ინსტიტუტები გვეხმარებიან და იმედი გვაქვს, სამართალი იზეიმებს“-აღნიშნეს შეხვედრიდან გამოსულებმა.

ინგა შიოლაშვილი



## მამუკა ხაზარაძე, ფიქრია ჩიხრაძე და დავით უსუფაშვილი ალიანსს ქმნიან



მოძრაობა „ლელო“, „შენების მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“ ალიანსს ქმნიან. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინზე გახდა ცნობილი.

როგორ ფიქრია ჩიხრაძემ განმარტა, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, მჭიდრო კოორდინაციის რეჟიმში დაიწყოს კონსულტაციები ქვეყანაში შექმნილი ჩიხური ვითარების დასაძლევად.

„ ეს იქნება თანასწორუფლებიანი პარტნიორების მიერ პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი პლატფორმა, რომელიც დაამარცხებს ორპოლუსიან სისტემას, ისარგებლებს საზოგადოების ნდობით და ააშენებს ძლიერ, განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყანას. საქართველო არის ჩვენი სამშობლო, რომელიც ძლიერ სახელმწიფო უნდა ვაქციოთ“, - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

## ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატები“ ოფიციალურად დარეგისტრირდა

დამოუკიდებელი დეპუტატები საპარლამენტო ფრაქციას ქმნიან. ფრაქციის სახელწოდება “დამოუკიდებელი დეპუტატები” იქნება. ფრაქცია 29 ნოემბერს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტზე ოფიციალურად დარეგისტრირდა.

საპარლამენტო ფრაქციას ქმნიან დეპუტატები ლევან კობერიძე, გედევან ფოფხაძე, კობა ნარჩემაშვილი, ლევან გოგიჩაიშვილი, მარიამ ჯაში და ზვიად კვაჭანტირაძე.

ფრაქციის თავმჯდომარე მარიამ ჯაში იქნება.

ლევან კობერიძის თქმით, ფრაქციაში გაწევრიანების თაობაზე ისინი სხვა დამოუკიდებელ დეპუტატებთანაც გამართავენ კონსულტაციებს.



# ვოშტრენინგი დედოფლისწყაროს „ცოდნის სახლში“

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მიერ ხორციელდება wash პროექტი (წყალი, სანიტარია და ჰიგიენა), რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი, მრავალეთნიკური თემების ჯანმრთელობის დაცვა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ხარისხიან წყალთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ჭასჰ სტანდარტების დამკვიდრება თანამონაწილეობრივი გზით.

ამ პროექტის ფარგლებში, 13 ნოემბერს, სოფელ არხილოსკალოს ,,ცოდნის სახლში“ ჩატარდა ტრენინგი. თემაზე: ,,ნედლი წყლის მოპოვების და დამუშავება-მოხმარების პროფესიონალური ინსტრუქციები“. ტრენინგს უძღვებოდნენ: ნანუკა/მირანდა ჭინჭარაული და მერაბ ხუციანიძე.

პროექტის ზოგად მიზნებზე , წყალთან , საკანალიზაციო სისტემებთან და სანიტარიულ საკითხებთან დაკავშირებით ისაუბრა პროექტის რეგიონულმა კოორდინატორმა ანა ბენაშვილმა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: დედოფლისწყაროს ვოშსაბჭოს ხელ-ლი ინგა შიოლაშვილი, არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორი, ვოშსაბჭოს წევრი მაია სიმონიძე, მერის წარმომადგენელი არხილოსკალოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოსო კობაიძე , ,,ცოდნის სახლის“ პედაგოგი მარინა წიკლაური და არხილოსკალოს საჯარო სკოლის მოსწავლეები. ტრენინგის საკითხებზე საუბრისას აქცენტები გაკეთდა სოფლის და სკოლის პრობლემებზე, სანიტარიის და ნარჩენების მართვის მიმართულებით.

სოფელს 24-საათიანი წყალმომარაგება აქვს, თუმცა სკოლის შენობაში არ არის წყალი და სველი წერტილები. როგორც სკოლის დირექტორმა მაია სიმონიძემ აღნიშნა, სკოლის შენობაში წყალგაყვანილობის და ტუალეტის მოწყობა იგეგმება მომავალი წლისთვის. ტუალეტი არც ,,ცოდნის სახლს“ აქვს, თუმცა , სულ მალე , ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ მოპოვებული გრანტით(CSRDG), აქ ტუალეტიც მოეწყობა და საშხაპეც.

აქვე დაანონსდა, ასევე ,,ლაგის“ მიერ, ვოშპროგრამის ფარგლებში, სოფელ არბოშიკის სამუსიკო სკოლაში წყალგაყვანილობის სისტემის და ტუალეტის მოწყობის შესახებ.

ახალგაზრდებმა ტრენინგის დასრულების შემდეგ ე. წ. ,,ვოშტორტი“ გაჭრეს და მიირთვეს, შემდეგ ვოშ-ის პლაკატები ,,ცოდნის სახლის“ კედელზე გააკრეს, ხოლო ნაწილი სკოლას და საბავშვო ბაღს გადასცეს.



# დღენაკლული ბავშვები

ნაადრევი ყველაფერი კარგია, გარდა სიკვდილისაო“. ამის მთქმელს, ალბათ, ნაადრევად დაბადებული ბავშვები არ უგულისხმია, რადგან ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ მათი უმეტესობა სასიკვდილოდ იყო განწირული. დღეს მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია, თანამედროვე მედიცინის მიღწევები დღენაკლულ ახალშობილებს გადარჩენისა და სრულფასოვანი ცხოვრების შანსს აძლევს. ნაადრევად დაბადებული ბავშვი კი არც თუ ისე ცოტაა ...

***1997 წელს, გერმანიაში ტყუპები ნაადრევად დაიბადნენ. სამწუხაროდ ტყუპებიდან ერთ-ერთი დაიღუპა. დედას, რომელსაც კლინიკაში ხანგრძლივი ყოფნა და დიდი მატერიალური დანახარჯების გაღება მოუწია, გადაწყვიტა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი სხვა მშობლებისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. ამ განზრახვით, გერმანელმა ქალბატონმა ვილკე მადერმა ევროპის ახალშობილებზე ზრუნვის ფონდი ჩამოაყალიბა. მისივე ძალისხმევით 17 ნოემბერს, მსოფლიო დღენაკლულთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ეს დღე ჩვენს ქვეყანაშიც აღინიშნება. ქართველი ნეონატოლოგები ევროპელი კოლეგების მსგავსად, 17 ნოემბერს დღენაკლულთა პრობლემებზე სასაუბროდ იკრიბებიან და განიხილავენ ამ სფეროში არსებულ პრობლემებს.***

ტერმინი ,,დღენაკლული’’ შეიძლება ითქვას ბავშვზე, რომელიც ორსულობის 37 კვირის დასრულებამდე დაიბადა. ამ კატეგორიებში შედის: გვიანი (34-36 კვირა), ზომიერი (32-36 კვირა) და ძალიან დღენაკლული (32 კვირაზე ნაკლები) . ვადაზე დაბადებული ბავშვების საშუალო წონა არის 3 კგ. მათგან განსხვავებით, დღენაკლული ბავშვი შესაძლებელია იწონიდეს 2.2 კგ-ს, ან ნაკლებსაც კი. მედიცინაში არსებული წინსვლის წყალობით ბავშვები, რომლებიც იბადებიან ორსულობის 28 კვირის მერე და იწონიან 1კგ-ზე მეტს, აქვთ გადარჩენის ძალიან დიდი შანსი.10-დან 8-ს ბავშვს , რომელიც დაიბადა ორსულობის 30 კვირის შემდგომ, აქვთ ჯანმრთელობასა და განვითარებასთან დაკავშირებული მინიმალური გრძელვადიანი პრობლემები. ორსულობის 28-ე კვირამდე დაბადებულ ბავშვებს კი, სხვადასხვა სახის გართულებები. მათ ესაჭიროებათ ნეონატალურ ინტენსიურ განყოფილებაში მოთავსება და მკურნალობა. რაც უფრო ადრე დაიბადება ბავშვი, მით უფრო პატარა იქნება. დანარჩენ სხეულთან შედარებით, მისი თავი დიდი მოგეჩვენებათ. რადგან დღენაკლულ ბავშვებს აქვთ ცოტა ცხიმი, მათი კანი არის თხელი და შედარებით გამჭირვალე, რის შედეგადაც უფრო მარტივია მათი სისხლძარღვების დანახვა. ასევე, შესაძლებელია ჰქონდეთ თხელი თმა — ლანუგო, ზურგზე და მხრებზე. მათი ნაკვთები არის უფრო მკვეთრი, უხეში, რადგან დღენაკლულ ბავშვებს არ გააჩნიათ დამცავი ცხიმოვანი ქსოვილი, ნორმალურ ტემპერატურაზე მათ სცივათ. სწორედ ამის გამო, დაბადებისთანავე ისინი ინკუბატორში გადაჰყავთ.

**პედიატრიის ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხია ნაადრევად დაბადებული ახალშობილი. რა შემთხვევაში ითვლება ბავშვი დღენაკლულად? რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ასეთი ახალშობილის მოვლა და აღზრდა? ამ კითხვებზე პასუხობს ნეონატოლოგი** მედეა სიჭინავა.




- სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის მიხედვით, ახალშობილთა 3-16%-ს დღენაკლული ბავშვები შეადგენენ. მათ წილად მოდის პერინატალური სიკვდილიანობის 60%. ნეონატალურ პერიოდში დღენაკლულ ბავშვთა სიკვდილიანობა დროულ ბავშვთა სიკვდილიანობას 20-30-ჯერ აღემატება. ნაადრევად დაბადებულ ბავშვთა ასფიქსია, ბილირუბინული ინტოქსიკაცია უფრო ხშირია, დიდია ინვალიდობის პროცენტული მაჩვენებელიც. დღენაკლულობა არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალური პრობლემაც არის. დღენაკლულ ბავშვთა განვითარების მანკი 10-ჯერ უფრო ხშირია. ამიტომ მათი სიცოცხლისუნარიანობის გასაძლიერებლად და ნაადრევად მშობიარეთათვის, იქმნება სპეციალური სამშობიარო სახლები და სპეციალური განყოფილებები დღენაკლულ ბავშვთა გამოსაზრდელად მკურნალობის მეორე ეტაპზე.

**უმეტესად რით არის გამოწვეული ნაადრევი მშობიარობა?**

— ნაადრევი მშობიარობის მიზეზი ხშირად უცნობია. შესაძლოა, ეს იყოს დედის გენეტიკური განწყობა, ემოციური, ფიზიკური ან იატროგენული (ამ შემთხვევაში — წამლისმიერი) სტრესი, ინფექცია, ჰორმონული დისბალანსი, ორსულობის პერიოდის ესა თუ ის პათოლოგია, სოციალური მდგომარეობა, პლაცენტისა და ნაყოფის არასწორი მდებარეობა. გასათვალისწინებელია დედის ცხოვრების წესი, — იკვებება თუ არა სრულფასოვნად, ხომ არ ეწევა თამბაქოს, ხომ არ იღებს ნარკოტიკებს ან ჭარბ ალკოჰოლს, — ფიზიკური, გონებრივი და ემოციური გადაღლა, ასაკი (19 წელზე ნაკლები და 40 წელზე მეტი), ორი და მეტი ნაყოფით ორსულობა. ნაადრევად მშობიარობენ 18 წლამდე ან 35 წელზე მეტი ასაკის, ასევე - დაბალი ტანის ქალები. ხშირად ნაადრევი მშობიარობის მიზეზია ორსულთა ტოქსიკოზი, განსაკუთრებით - ნეფროპათია, აგრეთვე - სომატური დაავადებები: ჰიპერტონიული დაავადება, რევმატიზმი, გულის მანკი, თირკმლის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი; გრიპი და მწვავე რესპირაციული დაავადებები; ქრონიკული ინფექციები: ციტომეგალია, ქლამიდიოზი, ტოქსოპლაზმოზი, ათაშანგი, ლისტერიოზი, ბრუცელოზი. მენჯით წინამდებარეობის დროსაც ნაადრევი მშობიარობის რისკი იზრდება. ნაადრევ მშობიარობას იწვევს მრავალწყლიანობაც. ასევე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ხელოვნური აბორტიც. ვერ უგულებელვყოფთ სოციალურ და ეკოლოგიურ ფაქტორებს, მოსახლეობის კულტურის დონეს. უქმრო ქალები ნაადრევად ორჯერ უფრო ხშირად მშობიარობენ. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კლიმატურ პირობებსა და წელიწადის დროსაც კი - შემჩნეულია, რომ დღენაკლული ბავშვები უმეტესად ზამთრობით და გაზაფხულობით იბადებიან.

გარეგნულ ნიშნებთან ერთად დღენაკლულებს გამოარჩევს ორგანოებისა და სისტემების უმწიფრობა. ბავშვის ორგანიზმის გარემოსთან შეგუება ძირითადად ნერვული სისტემის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. დღენაკლული ბავშვის ორგანიზმში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული თავის ტვინის ქერქისა და ქერქოვანი ცენტრების დიფერენცირება. უპირატესობა ენიჭება ქერქქვეშა მოქმედებებს - მოსვენებისას ხელისა და ფეხის არაკოორდინირებულ, უწესრიგო, ქაოსურ მოძრაობებს. აღინიშნება ადინამია, საერთო სისუსტე, წამოკნავლებისებური ტირილი, წოვის რეფლექსი შესუსტებულია ან საერთოდ არ არის. ნერვული სისტემის უმწიფრობა, მისი მარეგულირებელი სისტემის არასრულფასოვნება, მოქმედებს სხვა სისტემებისა და ორგანოების ფუნქციებზე.

დღენაკლული ბავშვის ფილტვები ღარიბია ელასტიკური ბოჭკოებით, რომლებიც განაპირობებს სუნთქვისას ფილტვის ქსოვილის გაშლა-შეკუმშვას. ამის გამო ბავშვს შესაძლოა დიდხანს დარჩეს ფილტვის ქსოვილის გაუშლელი უბნები - ატელ¬ექტაზი. ფილტვის არასრული გაშლა და ზერელე სუნთქვა კომპენსირდება სუნთქვის გახშირებით. მაჯისცემის სიხშირე საკმაოდ მერყეობს. სისხლძარღვთა მომატებული განვლადობის გამო ორგანიზმი მიდრეკილია სისხლჩაქცევებისკენ, ჟანგბადოვანი შიმშილის დროს სისხლძარღვთა განვლადობა კიდევ უფრო იმატებს. დღენაკლულ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ სხეულის ქვედა სეგმენტებში სისხლის შეგუბება, რაც ვლინდება აკროციანოზით - ტერფებისა და მტევნების მოლურჯო შეფერილობით. გარდა ამისა, პირის ღრუს სიმცირის გამო ენა მთლიანად ავსებს მას. ბავშვი მიდრეკილია წამოქაფებისკენ. ღვიძლი დიდი ზომისაა და თითქმის მთლიანად ფარავს კუჭს. ფიზიოლოგიური სიყვითლე ხანგრძლივდება. თირკმელები არასრულად არის დიფერენცირებული. პირველ დღეებში შარდვა იშვიათია, შარდის ოდენობა - მცირე, შემდეგ კი თანდათან იმატებს. პირველ დღეს შარდი უფერულია, ხოლო მე-2-3 დღიდან - ინტენსიური ყვითელი შეფერილობისა. წყლისა და მინერალური ცვლა ლაბილურია. ბავშვი მიდრეკილია როგორც შეშუპების, ისე გაუწყლოებისკენ. შეშუპების ერთ-ერთი საშიში გამოვლინება, სკლერედემა, უმეტესად ღრმა დღენაკლულობისას ვლინდება. არასრულფასოვანია თერმორეგულაციაც. ბავშვები ადვილად გადაცივდებიან და გადახურდებიან, მათი სხეულის ტემპერატურა ძირითადად გარემოს ტემპერატურით განისაზღვრება, ამიტომ ოთახში უნდა იყოს სტაბილური ტემპერატურა არანაკლებ 22 გრადუსის.

დაბოლოს, ნაადრევი მშობიარობის კანდიდატებს და დღენაკლული შვილების მშობლებს დავაიმედებთ, რომ დღეს მედიცინას შესანიშნავი შედეგები აქვს ასეთი ბავშვების გამოზრდის, მათი გონებრივი და ფიზიკური განვითარების, დაავადებათა პრევენციისა და მკურნალობის კუთხით. საგრძნობლად დიდია შანსი, მცირე მასის ახლაშობილები სრულფასოვან ინდივიდებად ჩამოყალიბდნენ.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# ეს სასიამოვნოდ დამღლელია



ოჯახი, რომელზეც ახლა მინდა გიამბოთ, ერთ-ერთი გამორჩეული და პატივსაცემია ჩვენს ქალაქში. სპირიდონ პოპიაშვილი და მანანა ბილიაშვილი 41 წელია, ერთ უღელში არიან და ღირსეულადაც უძღვებიან მას. ვინატრებდი, ასეთი ოჯახების სიმრავლეს, რადგან მაშინ ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი და მშვიდი იქნებოდა, რადგან ეს ორი, ადამიანისათვის დამახასიათებელი დადებითი თვისება აკეთილშობილებს საზოგადოებას, რომელიც ჰქმნის ქვეყნის სახეს. ვინ არიან სპირიდონი და მანანა?

სპირიდონი 1939 წლის 7 ნოემბერს დაიბადა სოლომონ პოპიაშვილის და ქეთევან ჭაბაშვილის ოჯახში. მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და სოლომონი ჯარში წაიყვანეს. უკანასკნელი წერილი ქერჩიდან მოვიდა. მაშინ ქერჩში ბევრი ქართველის სიცოცხლე დასრულდა, ცურვის უცოდინარობის გამო. მათ შორის მისიც. ამ წერილს ოჯახი დღემდე წმინდა რელიქვიად ინახავს. დარჩა 3 წვრილშვილის პატრონი ქეთევანი და ცხოვრების სიძნელეებს შეერკინა. ადვილი არ იყო თავის გატანა, დღე და ღამ შრომობდა – კერავდა, ქსოვდა და ასე, ნემსის წვერით გამოზარდა შვილები – ობიკო, მარგო და სპირიდონი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სპირიდონმა სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა, შემდეგ თბილისის ტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტკის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობისასაც კი სულ შრომობდა, თავი რომ ერჩინა და დედასაც მხარში ამოსდგომოდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რაიონს დაუბრუნდა და მუშაობდა სპეციალობის მიხედვით. იყო რუსთავის კირქვების მაღაროთა დედოფლისწყაროს სამმართველოს ენერგოინჟინერი, დიდი სამშენებლო ორგანიზაცია PMK–14-ის ინჟინერი, წლების განმავლობაში სოფლენერგოს უფროსი. ბოლოს სააქციო საზოგადოება „არწივის ხეობის“ ენერგოინჟინერი.

მანანა, რომელსაც შინაურობაში დოდოს ვეძახით, 1950 წლის 6 თებერვალს დაიბადა დედოფლისწყაროში, ქიტესა ბილიაშვილის და პელო ყველაშვილის ოჯახში. ის ძმებთან, გელასა და ვაჟასთან ერთად, ევდოშვილის ქუჩაზე გაიზარდა და დღესაც ამ ქუჩის ნოსტალგია და სიყვარული გულში ღრმად აქვს ალბეჭდილი. დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი მებაღეობა -მევენახეობის განხრით. ათეული წლები მუშაობდა მეთესლეობის რაიონულ ლაბორატორიაში.

სპირიდონმა და მანანამ 1978 წელს შექმნეს ოჯახი და სწორედ აქედან დაიწყო მათი ცხოვრების ყველაზე საინტერესო, საპასუხისმგებლო და, როგორც მანანა იტყვის ხოლმე, „ სასიამოვნოდ დამღლელი“ ცხოვრება: წლისთავზე, 1979 წელს, ოჯახის უფროსი ქალიშვილი ქეთევანი დაიბადა. 1980 წელს ქვეყანას ახლა ნათია მოევლინა. მას 1984 წელს თამარი მოჰყვა და როდესაც 1986 წელს ოჯახს, სამი ქალიშვილის შემდეგ, მემკვიდრე, პაპის მოსახელე სოლომონი შეეძინა, ყველამ დაასკვნა, რომ სწორედ ვაჟის დაბადებისათვის „ირჯებოდნენ“ სპირიდონი და მანანა, მაგრამ ეს პროგნოზი არ გამართლდა, რადგან 1991 წელს ოჯახს კვლავ ქალიშვილი – ნინო შეემატა.

-ჩემი მშობლები მრავალშვილიანი ოჯახებიდან იყვნენ. მამის მხრიდან 5 და-ძმა ბილიაშვილები, დედის მხრიდან კი რვანი ყველაშვილები. ისეთი სიყვარული, ურთიერთზრუნვა, პატივისცემა და დიდ-პატარაობა სუფევდა ჩემს გარშემო, რომ ბავშობიდანვე ვიცოდი, რომ ერთი და ორი შვილი არ მეყოფოდა. აკვიატებით მინდოდა ხუთი შვილი, არ ვფიქრობდი, რამდენი გოგო ან ბიჭი მეყოლებოდა. მადლობა ღმერთს, ვაჟიც მყავს და ქალიშვილებიც. მე ბედნიერი ვარ ჩემი შვილებით,- ამბობს ქალბატონი მანანა და მართლაც რომ, ბედნიერები არიან. ხუთი თვალ-ტანადი და მშვენიერი შვილი ჰყავთ, ერთმანეთზე უკეთესები. სკოლაში წარმატებული მოსწავლეები იყვნენ, ნიჭიერები, შრომისმოყვარეები და კარგად აღზრდილები. ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო და მყარად დგას საკუთარ მეობაზე. გოგონებმა უკვე შექმნეს ოჯახები, დაწვრილშვილდნენ კიდეც. გაგაცნობთ თითოეული მათგანის ოჯახს: ქეთევანმა სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა. დღეს 3 ვაჟის დედაა. მისი მეუღლე, გოგიტა მიქაუტაძე, პოლიციის აკადემიადამთავრებულია და მაიორის ჩინს ატარებს. ის საქართველოს პრეზიდენტის სამსახურშია და დროის სიმცირის მიუხედავად, ოჯახისათვის მაინც იცლის, მზრუნველობას, სითბოს და სიყვარულს არ აკლებს მათ. ისინი თბილისში ცხოვრობენ. ქეთი ერთ-ერთი დიდი საბავშვო ბაღის პედიატრია.

ნათია ჯაფარიძელების რძალია. უშანგი წყარუაშვილის და ნანა ჭუჭულაშვილის ვაჟის - ზურაბის მეუღლეა. ჰყავთ ქალ-ვაჟი. ნათია პროფსასწავლებელ „აისის“ ინფორმატიკის პედაგოგია. ზურაბი დედოფლისწყაროს სამაშველო სამსახურში მუშაობს და დედისაგან გამოყოლილი ნიჭით ხშირად ატკბობს ჩვენი რაიონის მსმენელს. ის ვაჟთა რაიონულ ანსამბლ „ხორნაბუჯის“ ერთ-ერთი გამორჩეული წევრია.

თამარი სამი ვაჟის დედაა. ის ინგლისური ენის სპეციალისტია და შვილებს ყურადღება რომ არ მოაკლოს, ჯერჯერობით, კერძო პრაქტიკით არის დაკავებული. მეუღლე, გოგიტა ხიზანიშვილი, სამთავრობო დაცვაში მუშაობს. ცხოვრობენ თბილისში.

ნინომ სამედიცინო განათლება მიიღო, ფარმაცევტია. ორი ვაჟის და ერთი გოგონას დედაა. მისი მეუღლე, ვალერი მანგოშვილი, დედოფლისწყაროში კარგად ცნობილი ერთ-ერთი წარმატებული მეწარმეა. მრავალდარგოვანი მისი საქმიანობა დიდ შრომას მოითხოვს და ისიც თავს არ ზოგავს ოჯახის კეთილდღეობისათვის.

როცა სოლომონის შემდეგ მეხუთე შვილი, ნინო, შეეძინა ოჯახს, მე და ჩვენი მაშინდელი ფოტოკორესპონდენტი ნოდარ ქურციკიშვილი (ღმერთმა ნათელში ამყოფოს), ვესტუმრეთ ამ ოჯახს და ხუთი წლის სოლომონს ასეთი სურათი გადავუღეთ: ის, კიბეზე ჩამომჯდარი, ნაღვლიანად დაჰყურებს ოთხი დის ფეხსაცმელებს და „ფიქრობს“ – რა გაათხოვებს და რა გაამზითვებს ამდენ გოგონებსო. მაგრამ სადარდელი არ გაუჩინეს ძმას გოგონებმა. წესიერად, პატიოსნად, ზნეკეთილად იცხოვრეს, საუკეთესო ოჯახებიც შექმნეს და ახლა ვალში მხოლოდ სოლომონია. მან მამის გზა გააგრძელა – ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობს დედოფლისყწაროს სამაშველო სამსახურში, ახლა მის დაოჯახებას და გვარის გაგრძელებას სულმოუთქმელად ელის დიდი ოჯახი. იქამდე კი სწორედ ამ დიდმა ოჯახმა თავი ოჯახის უფროსის იუბილეზე მოიყარა. სპირიდონი 80 წლის გახდა. ხუთიოდე წლის წინ მას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, მაგრამ ოჯახის მხარში დგომამ, ერთიანობამ, თავდადებულმა ზრუნვამ და პატრონობამ სიკვდილს უკან დაახევინა და... სიცოცხლე უხარია დღეს სპირიდონს, რომელიც ბედნიერი და ამაყია თავისი შთამომავლობით: ხუთი შვილი, ოთხი სიძე, თერთმეტი შვილიშვილი მისი სიმდიდრეა, სიმდიდრე, რომელსაც ვერანაირი ქონება ვერ გადასწონის. რესტორან „ნიკალაში“ გაშლილ გრძელ სუფრას, ოჯახის ოცდაორ წევრთან ერთად, უსხდნენ იუბილარის და, ცოლისძმები, მათი შვილები, ახლობლები, მეგობრები, ყოფილი თანამშრომლები, ნათელმირონით დაკავშირებული ადამიანები და გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით ეფერებოდნენ ამ ალალ-მართალ, წესიერ კაცს, რომელმაც ღირსეული ოჯახი შექმნა და ღირსეულადაც უპატრონა მას. ოჯახს კი სულ მუდამ დედაბოძად ედგა ქალბატონი მანანა, რომელიც თავს არ ზოგავდა, მხარში ამოსდგომოდა მეუღლეს.



– რთული, ძალიან რთული პერიოდი შეგვხვდა შვილების გასაზრდელად. იმ გაუსაძლის ოთხმოცდაათიან წლებში სიბნელეში, სიცივეში, უპერსპექტივო, ქაოტურ გარემოში არაფერი შეგეშალოს, გზას არ გადაგიცდეს, ჯანმრთელობა შეუნარჩუნო და სათანადო განათლება მისცე ხუთ შვილს, მარტივი არ იყო. მერე მიყოლებით მათი სტუდენტობა... შრომაში და ფიქრში დათენებული ღამეები... მადლობა უფალს, ბოლო კეთილია და თავი გავართვით ამ ყველაფერს. საზოგადოებამ შეაფსოს ჩვენი ამაგი,- ამბობს მანანა და არც ერთი წუთით არ ფიქრობს იმას, რომ დაიტანჯა. ის ამბობს, რომ ეს ყველაფერი სასიამოვნოდ დამღლელია, რადგან გაჯერებულია სიყვარულით. ზაფხულში, როცა ყველა ერთად მოიყრის ხოლმე თავს, მათი ეზო „ბრძოლის ველს“ ემსგავსება. უბანს ახმიანებს მათი ყიჟინა. თერთმეტი შვილიშვილიდან მხოლოდ ორია გოგო, ცხრა კი – ვაჟი. ყველაზე უფროსი, რომანი, 13 წლისაა. უმცროსები კი – ათი თვის: კახი 2019 წლის 30 იანვარს, ხოლო ანიტა 1 თებერვალს დაიბადნენ. ბებიამ ზუსტად იცის, ვის რა უყვარს, რა უნდა მიართვას საუზმეზე, სადილზე, ვახშამზე. ამიტომ სამზარეულოა მისი ასპარეზი. პატარ-პატარა სიურპრიზები სულ მუდამ აქვს მოფიქრებული. ხშირად აწყობენ პიკნიკებს, მინი-თათარაობას, თვითონვე აბნევენ, ავლებენ და მიირთმევენ თავისი ხელით გამზადებულ ჩურჩხელებს. თითქმის დღე არ გავა, რომელიმე მათგანმა არ მოაკითხოთ, მაგრამ თუ ორი-სამი დღე ერთმანეთს მიება და არ გამოჩნდნენ, ველარ ისვენებენ ოჯახის უფროსები. უჩვეულოა მათთვის სიწყნარე. სულ სიხარულის ჟრიამული ისმოდეს თქვენი ეზო-კარიდან, სიყვარული და ბედნიერება სუფევდეს თქვენს ჭერქვეშ, თქვენ ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახი გაქვთ და მისაბაძი მაგალითი ხართ თქვენი შრომისმოყვარეობით, სიკეთით და სიყვარულით. ჯანმრთელობას, კვლავაც მხნეობას და ბედნიერებას გისურვებთ თქვენ და თქვენს დიდ ოჯახს. უფალი გფარავდეთ და გეწეოდეთ. გაიხარეთ!

ნაირა გორაშვილი



# ჰიბრიდული ომი და მისი გამოწვევები

ჰიბრიდული ომის საფრთხე ის ისტორიული გამოწვევაა, რომელიც ათასობით წელია არსებობს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც დაძაბულობა სრულმასშტაბიან ომში არ იზრდება. ჰიბრიდული ომი არამარტო ქვეყნის თავდაცვის ძალების გამოწვევაა, არამედ მთელი სიცხადით მოიცავს საზოგადოების ყველა სფეროს – პოლიტიკას, უსაფრთხოების სამსახურს, ეკონომიკურ მარეგულირებლებსა თუ აქტორებს. ასეთ დროს აუცილებელია, რომ მაღალი რანგის პირები კარგად იყვნენ ინფორმირებულები და ჰქონდეთ უწყებათშორისი კომუნიკაცია. როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, ამ გამოწვევის დამარცხება შესაძლებელია ძლიერი, ღია და თავისუფალი საზოგადოების მეშვეობით, რომელსაც თავდაცვის უნარი და ძალა შესწევს.

როდის გაჩნდა საერთაშორისო დოკუმენტებში ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ ?

***ნატოსა და ევროკავშირის ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ დამკვიდრდა. 2015 წელს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თურქეთში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ფრედერიკა მოგერინისთან შეხვედრაზე რუსეთის ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ერთობლივი თანამშრომლობის გზებზე ისაუბრა. ნატო რუსეთს უკრაინასთან კონფლიქტში ჰიბრიდული ომის გამოყენებასთან დაკავშირებით ადანაშაულებდა, რომელიც ახდენდა კლასიკური სამხედრო მეთოდების კომბინირებას არაკონვენციურ პარტიზანულ ტაქტიკასთან, ისევე როგორც ისეთი არასამხედრო საშუალებების გამოყენებას, როგორიცაა კიბერშეტევები და პროპაგანდა. ნატოს გენერალური მდივნის 2017 წლის ანგარიშში ჰიბრიდული ომის განმარტება შემდეგნაირადაა მოცემული: „ჰიბრიდული ომი მოიცავს სამხედრო და არასამხედრო, ფარულ და ღია ტაქტიკას, დეზინფორმაციისა და პროპაგანდიდან დაწყებული არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებით თუ რეგულარული ძალების გამოყენებით დამთავრებული. ის შლის ზღვარს ომსა და მშვიდობას შორის. თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხე მოიცავს დახვეწილ კიბერშეტევებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზეწოლას და მოწინააღმდეგის მოწყვლადობის გამოყენებას.“*** ნატოს გენერალური მდივნის მომდევნო 2018 წლის ანგარიშში კი ჰიბრიდული ომის განმარტებისას ნათქვამია: „ჰიბრიდული ომის საუკუნეში ქვეყნებმა შეიძლება არ იცოდნენ რომ მათზე განხორციელდა ჰიბრიდული თავდასხმა, სანამ სერიოზულ ზიანს არ მიიღებენ. ჰიბრიდული ომის მეთოდები, როგორიცაა პროპაგანდა, მოტყუება, საბოტაჟი და სხვა არასამხედრო ტაქტიკა, დიდი ხანია გამოიყენება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან მოწინააღმდეგის დესტაბილიზაციის მიზნით.“ მიუხედავად იმისა, რომ ნატომ და ევროკავშირმა ჰიბრიდული ომის მეთოდებით ბრძოლაზე რუსეთის მხრიდან საუბარი მხოლოდ უკრაინაში აგრესიის შემდეგ დაიწყო, რუსეთი მას თავის მეზობელი საქართველოს წინააღმდეგ დიდი ხნით ადრე იყენებდა. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტი იყო კულმინაცია, რომელსაც წინ უსწრებდა ჯერ 90-იან წლებში ე.წ. გაყინული კონფლიქტების შექმნის მხარდაჭერა, შემდგომ ეტაპზე კი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და საინფორმაციო ომის წარმოების ინსტრუმენტების გამოყენება საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად. საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის ტაქტიკის გამოყენებაზე ოფიციალურმა უწყებებმა კი თავის უწყებრივ თუ სტრატეგიულ დოკუმენტებში საუბარი 2017 წლიდან დაიწყეს.

დღეს, როცა ნატო და ევროკავშირი გაერთიანებული ძალისხმევის მეშვეობით ეძებს გზებს დაუპირისპირდეს ჰიბრიდულ საფრთხეებს, ქმნის ქ. ჰელსინკში ჰიბრიდული საფრთხეების ბრძოლის ცენტრს, აძლიერებს ეროვნულ მედეგობას, სრულყოფს ერთიან ანალიტიკას და სადაზვერვო შესაძლებლობებს, როცა დასავლეთის ქვეყნები ახალი რეალობიდან გამომდინარე ცვლიან ტრადიციულ მიდგომებს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და ერთიან სამთავრობო მიდგომას თან ურთავენ კერძო და მესამე სექტორის ჩართულობას, მნიშვნელოვანია საქართველომაც გაიზიაროს ეს პრაქტიკა. ვინაიდან საქართველო არის ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიების ოკუპაცია რუსეთმა მოახდინა საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად, რეალურად წაშალა ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის და ის კვლავ განაგრძობს სხვადასხვა ეროვნული ძლიერების ინსტრუმენტების მეშვეობით დაუპირისპირდეს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

სწორედ ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი კომპონენტის - სტრატეგიული კომუნიკაციებისა და დეზინფორმაციის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან გამოცდილების გაზიარებასა და სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობაზე საქართველოში, ევროკავშირის მხარდაჭერით, 18-22 ნოემბერს სტრატეგიული კომუნიკაციების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. დეზინფორმაციის გავრცელებასა და მის წინააღმდეგ მოქმედების გზებზე მსჯელობისთვის სტრატეგიული კომუნიკაციების ექსპერტები, ოფიციალური პირები, დიპლომატები, ახალგაზრდა პროფესიონალები, სამოქალაქო და მედიასექტორის წარმომადგენლები თბილისში 15 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. კონფერენცია დეზინფორმაციის წინააღმდეგ ევროკავშირის მთავარი სამოქმედო გეგმის, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურისა და კამპანიის EUvsDisinfo შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანი ევროკავშირისა და მის სამეზობლოში დეზინფორმაციის საფრთხეების გაანალიზება და კოორდინირებული ქმედებების ხელშეწყობაა. ღონისძიებაში საერთაშორისო მომხსენებლის სტატუსით მონაწილე, კარდიფის უნივერსიტეტის დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა მარტინ ინესმა On.ge-სთან საუბრისას განმარტა – რა არის დეზინფორმაცია და როგორ მოქმედებს ის. მისი თქმით, დეზინფორმაცია ნებისმიერი კომუნიკაციაა, რომელიც გამიზნულია იმისათვის, რომ ხალხი არასწორი ფაქტებით შეცდომაში შეიყვანოს: ***„ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობით ჩვენ დავადგინეთ, რომ დეზინფორმაციის რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება, ერთმანეთში ირევა ამბები სოციალურ მედიასა და ინტერნეტში. რაც შეეხება მოწყვლადობას, არის რამდენიმე ფაქტორი, რაც ზოგიერთ ადამიანს უფრო მოწყვლადს ხდის. პირველი, რაც უნდა გავითვალისწინოთ არის აქტივობა, რომელიც ქვეყანაში ხდება, რამდენადაა განხილვადი, რამდენად ჩართული ხარ მასში. შემდეგ იწყება ფიქრი ნდობის ხარისხზე, რამდენად ენდობი პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ენდობი თუ არა ავტორიტეტს“***- თქვა მარტინ ინესმა. ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილემ, იურგის ვილჩინსკასმა აღნიშნა, რომ საქართველო გასული წლების განმავლობაში დეზინფორმაციული თავდასხმების სამიზნე იყო. მათ 4 000-ზე მეტი შემთხვევა აღმოაჩინეს. დეზინფორმაციის უმეტესობა მიმართული იყო იმისკენ, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობაზე ნეგატიურად ემოქმედა. მისი თქმით, ეს არ არის მხოლოდ შეხვედრის ორი დღე, არამედ ეს მომავალი თანამშრომლობის გაგრძელებაა. “ევროპული გზა, არის ის, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ძალიან ბევრი რამ გააკეთოს დეზინფორმაციის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სანამ რამეს ვენდობით, უკეთესია, გაცნობიერებული გვქონდეს რისკენაა ის მიმართული, გადამოწმებულია თუ არა, იქნებ უბრალოდ, ვინმე ცდილობს სკანდალური სათაურით მათ ვებსაიტზე მოხვდე.“ - თქვა იურგის ვილჩინსკასმა.

კიდევ ერთი საინტერესო თემა, რაზეც სტუმრებმა იმსჯელეს, იყო რუსული დეზინფორმაცია. ეს თემა ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევარმა, ანა ბორშევსკაიამ მიმოიხილა, რომელიც შუა აღმოსავლეთშირუსეთის კრიმინალურ აქტივობებს იკვლევს. მისი თქმით, როცა ამ თემის შესწავლა დაიწყო შუა აზიაში ამ საკითხით ცოტა ადამიანი ინტერესდებოდა, ახლა კი მის მიმართ დიდი ინტერესია. ანა ბორშევსკაიას აზრით, ის რასაც რუსეთი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში აკეთებს, დასავლურ სამყაროზეც მალევე აისახება. ***„ჩვენ ვიაზრებთ, რომ ეს პროცესები გლობალურია და არაა იზოლირებული. რაც შუა აღმოსავლეთში ხდება, იშვიათად რჩება იქ. ერთი რამ, რასაც დავაკვირდი, არის ის, რომ ჩვენ “თავდაცვის” პოზიცია გვიჭირავს, რუსეთს კი “თავდასხმის”. ეს გამიზნულად ხდება, კრემლი ძალიან კარგად იყენებს ფსიქოლოგიურ ფაქტორს. ფაქტების გარდა კი მნიშვნელოვანია ემოციური ინფორმაცია, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი გავლენა, შეღწევადობა აქვს ამ რეგიონში. კრემლი იცნობს საზოგადოებას და იცის როგორ იმანიპულიროს”,*** -თქვა On.ge-სთან საუბრისას ანა ბორშევსკაიამ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მესიჯი, რაც ამ კონფერენციაზე გაჟღერდა არის ის, რომ ევროკავშირი ამ კუთხით საქართველოსთან თანამშრომლობას მომავალშიც გააგრძელებს. მისი დახმარებით კი მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია ერთდროულად ეცდება დეზინფორმაციის შესაჩერებლად საუკეთესო გზები იპოვოს.

ჰიბრიდული ომის, როგორც კონფლიქტის ახალი ფორმის, აღმოცენება ძირეულად ცვლის უსაფრთხოების არსებულ ლანდშაფტს და უამრავ კითხვას აჩენს უსაფრთხოების ინსტიტუტების შესაძლებლობების შესახებ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ ვისწავლოთ მსგავს კრიზისებთან გამკლავება, ამ საფრთხეების შეკავების და დაძლევისთვის კი აუცილებელია სახელმწიფოთა მიერ მრავალი მიმართულებით ერთიანი სტრატეგიული მიდგომის შექმნა და, რა თქმა უნდა, კოორდინებული მოქმედებების განხორციელება.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა



# ანომალიური ხანძრები ნოემბერში

ეს ხანძრები ანომალიურია - ასეთ დასკვნამდე მივიდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN). ორგანიზაციამ საქართველოში ნოემბერში მომხდარი ხანძრების შესახებ მონაცემები შეაჯამა.

როგოც CENN-ის ანგარიშში წერია, ადრე გვიან შემოდგომაზე არათუ მთიან რაიონებში, არამედ ბარშიც კი ხანძარი ძალიან იშვიათი იყო. საქართველოში, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, გვიანი შემოდგომა გრილი, მაღალმთიან რაიონებში კი ცივი და შედარებით ნალექიანია. ასეთ პირობებში ბუნებრივად ხანძრის გაჩენა გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, სტატისტიკა ასეთია:

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - სოფელ აბარის მიდამოები. ხანძარმა მოიცვა 60 ჰექტარამდე მუხისა და წიფლის ტყე (16-19 ნოემბერი).
- ონის მუნიციპალიტეტი - სოფელ ხიდეშლების ჩრდილო-დასავლეთით, მოიცვა 250 ჰექტარამდე წიფლის ტყის კორომები (17— 19 ნოემბერი).
- მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელ ტსალანარიდან დასავლეთით, მოიცვა 70 ჰექტარამდე ნაძვისა და წიფლის ტყე (17-19 ნოემბერი).
- დუშეთის მუნიციპალიტეტი - ბლოს ხეობის სუბალპურ სარტყელში ხანძარი გავრცელდა ბალახოვან საფარზე. მოიცვა 130 ჰექტარამდე ფართობი (18 — 20 ნოემბერი).
- შიდა ქართლის მუნიციპალიტეტი - ჯამჯამას მთიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით 60 ჰექტარამდე ტერიტორიაზე გავრცელდა ხანძარი, რომელმაც მოიცვა წიფლნარის ტყე (23-25 ნოემბერი).
- ცხინვალის რეგიონში დაფიქსირდა რამდენიმე ხანძრის კერა (11-24 ნოემბერი).
- აფხაზეთში ნოემბერში ხანძარი 19 000 ჰექტარამდე ფართობზე გავრცელდა. ეს ხანძარი თავისი მასშტაბურობით, შესაძლოა, უპრეცედენტოდ ჩაითვალოს მთელ კავკასიაში.

CENN-ის წარმომადგენელი რეზო გეთიაშვილი ამბობს, რომ ხანძრის მიზეზებს უფრო ღრმად შესწავლა სჭირდება, წინასწარ კი შეიძლება ითქვას, რომ ხანძარი ან დაუდევრობის გამო გაჩნდა, რადგან ხანძრების 99 პროცენტი სწორედ დაუდევრობის გამო ჩნდება, ან იმის გამო, რომ კლიმატი იცვლება.

„მშრალი შემოდგომაა და შეიძლება ამიტომაც ჩნდება ხანძრები. ზოგადად, არ ვართ მზად მასშტაბური ხანძრებისთვის. ბორჯომში 2008 წელს 1000 ჰა ტერიტორია დაიწვა, აფხაზეთში - 19 ათასი ჰა. ჩვენ კი ბორჯომის ხანძრის ჩაქრობაც გაგვიჭირდა“, - ამბობს CENN-ის წარმომადგენელი რეზო გეთიაშვილი.

მისივე თქმით, ხანძარი განსაკუთრებით სახიფათოა მაშინ, როცა წიწვოვანი ტყე იწვის. ამ დროს წვა უშუალოდ ნიადაგშიც გრძელდება, რის გამოც მიწის საფრისა და მასთან ერთად ტყის აღდგენაც თითქმის შეუძლებელი ხდება. აფხაზეთში წიწვოვანი ტყეებიც დაიწვა. „რუსეთის ავიაციაც აქრობდა აფხაზეთში ხანძარს, მაგრამ საბოლოოდ მაინც წვიმამ ჩააქრო“, - ამბობს რეზო გეთიაშვილი.

შსს-ში აცხადებენ, რომ ხანძრის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით თითოეულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გამოძიების შედეგები ჯერ ცნობილი არ არის.

„ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომლები ბრძოლას განაგრძობენ

„სახელმწიფო ინსტიტუტები ავამოქმედეთ“...

ქართულ-ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ თანამშრომლებმა, რომელთაც რამდენიმეთვიანი სახელფასო დავალიანება აქვთ, კომპანიის გენერალურ დირექტორთან ზაზა მამულეიშვილთან მშვიდობიანი დიალოგის ყველანაირი ფორმა ამოწურეს. ამერიკის საელჩოსთან გამართული აქციის შემდეგ დაზარალებულებმა ბრძოლის სამართლებრივი ტაქტიკა აამოქმედეს- „ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოსაც“ მიმართეს და სარჩელი სასამართლოშიც შეიტანეს.

27 ნოემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსთან, გიორგი ტატიშვილთან ერთად ნავთობკომპანია ,,ფრონტერას“ თანამშრომლებს შეხვდა.

,,ფრონტერას“ წარმომადგენელთა განმარტებით, კომპანიას მათთვის ხელფასი 10 თვის განმავლობაში არ გადაუხდია. როგორც სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, „მათ „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიასთან“ დიდი ხანია, პრობლემები ჰქონდათ. კერძოდ, „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიამ მათ მოპოვებული ნავთობის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მისცა. ამ საქციელისთვის „ფრონტერა“ დაჯარიმდა კიდეც. საჯარიმო სანქციამ 5000 ლარი შეადგინა. როგორ რეგულირებოდა ურთიერთობა კომპანიასა და დასაქმებულებს შორის, არც ამის შესახებ გააჩნდა სააგენტოს ინფორმაცია, ვიდრე თქვენ არ მოგვაკითხეთ“-აღნიშნა ტატიშვილმა.

# 1 დეკემბერი-შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე

„შიდსის გლობალური ეპიდემიის სავალალო რეალობის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა თანამედროვე ადამიანის მოვალეობაა. თითოეული ადამიანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შიდსის შესახებ შესაბამისი ინფორმაციით და ხელმისაწვდომი მოვლითა და მზრუნველობით".

შიდსის პრობლემა უმწვავესია მთელ მსოფლიოში და მიჩნეულია კაცობრიობისათვის ყველაზე დიდ საფრთხედ თერმობირთვული ომის შემდეგ. შიდსი ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა. მას იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის დამცველ იმუნურ სისტემას, ორგანიზმი კარგავს წინააღმდეგობის უნარს და ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან სიმსივნური დაავადება, როგორც წესი სასიკვდილო შედეგით. თანამედროვე კლასიფიკაციით აივ ინფექცია ეწოდება დაავადებას ვირუსით ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო ტერმინით შიდსი, აღინიშნება დაავადების ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება დაავადების გარკვეული კლინიკური ნიშნები და იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება. საქართველო უკვე რამდენიმე წელია, ტრადიციულად უერთდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღნიშვნაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოწოდებით 1988 წლიდან, 1 დეკემბერი აღინიშნება შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღედ. ყოველწლიურად ეს დღე გარკვეულ თემას ეძღვნება, რომელშიც ეპიდემიის რომელიმე ასპექტია ხაზგასმული.უკანასკნელ წლებში, მრავალ ქვეყანაში შიდსის ეპიდემიამ მაღალი რისკის ჯგუფებიდან გადაინაცვლა მოსახლეობის ფართო ფენებში და განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა შიდსთან ასოცირებული გენდერული პრობლემები. მითი იმის შესახებ, რომ შიდსი მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ჯგუფებისთვის წარმოადგენს რეალურ საფრთხეს, საბოლოოდ განადგურდა. საპირველდეკემბრო კამპანიის მიზანია, კიდევ ერთხელ მივმართოთ საზოგადოებისა და ყველა ჩვენგანის ყურადღება ამ სერიოზული პრობლემისკენ, კიდევ ერთხელ გავაცნობიეროთ შიდსის რეალური საფრთხე. საქართველოში შიდსის მოსალოდნელ ეპიდემიასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის პოლიტიკური ნებისა და სტრატეგიული მხარდაჭერის და მთელი საზოგადოების მობილიზაციის გზით. მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად აივ ინფექცია/შიდსი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. შიდსის პირველი შემთხვევა ჩვენს ქვეყანაში 1989 წელს დაფიქსირდა. ექსპერტთა შეფასებით და გათვლებით საქართველო ჯერჯერობით არ მიეკუთვნება აივ ინფექცია/ შიდსის მაღალი გავრცელების ქვეყნებს. თუმცა, აივ ინფექციის რეგისტრირებულ შემთხვევათა სიმცირის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ინფექციის ეპიდემიის გავრცელების პოტენციალის არსებობა. კერძოდ, ქვეყანაში არსებული ნარკოტიკების ინექციური მომხმარების მაღალი მაჩვენებელი, ხშირი, დაუცველი სქესობრივი კონტაქტის მქონე პირები და მათი პარტნიორები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მაღალი პრევალენტობა, გაზრდილი მიგრაცია აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემიის მქონე ქვეყნებში, დაავადების გვიანი გამოვლენა, თავდაცვის საშუალებებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება ან მათი არასისტემატიური მოხმარება, აივ ინფექციასთან ასოცირებული სტიგმა-დისკრიმინაცია შესაძლებელია გახდეს საქართველოში დაავადების ფართო გავრცელების მიზეზი.

საქართველოში აივ-ინფექციის გადაცემის გზების მიხედვით პირველ ადგილზე ჰეტეროსექსუალური კონტაქტებია 44,4%-ით, მეორე ადგილს ნარკოტიკების ინექციური მოხმარება იკავებს — 43,1%, შემდეგ კი მამაკაცებს შორის სექსუალური კონტაქტებია — 9,8%.

შიდსის ცენტრის პროგნოზით ინფიცირებულთა გამოვლენის გაუმჯობესების შემთხვევაში, 2019-2020 წლებში მკვეთრად გაიზრდება მკურნალობაზე მყოფი პირების რაოდენობა და შემცირდება ახალი შემთხვევების რიცხვი.

ყველაზე ხშირი გადაცემის გზები: აივ ინფექცია/შიდსი გადაეცემა 1. სქესობრივი კონტაქტით, 2. ნარკოტოკების მომხმარებლების მიერ ზიარი შპრიცის ან ნემსის გამოყენებით, შეუმოწმებელი აივ ინფიცირებული სისხლის გადასხმით, არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით, და ასევე 3. აივ ინფექცია შესაძლებელია გადაეცეს ნაყოფს/ახალშობილს იმ შემთხვევაში, თუ ორსული აივ ინფიცირებულია. ნაყოფის ინფიცირება შესაძლებელია მოხდეს მუცლადყოფნის პერიოდში, მშობიარობის დროს ან ძუძუთი კვების დროს. აქვე მინდა დავძინო, რომ დღესდღეობით არსებობს პროფილაქტიკური მკურნალობა, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ნაყოფის/ახალშობილის ინფიცირების რისკს. თუ ორსული აივ ინფიცირებულია, მას ორსულობის 24 კვირიდან ეწყება პროფილაქტიკური მკურნალობა, ხოლო მშობიარობის შემდეგ ახალშობილი გადაყავთ ხელოვნურ კვებაზე.

შიდსი არ გადაეცემა: საყოფაცხოვრობო კონტაქტით, ხელის ჩამორთმევით, საუბრით, მწერის ან ცხოველის კბენის შედეგად იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის (მწერი ან ცხოველი) უკბენს ინფიცირებულს და შემდეგ ჯანმრთელ ადამიანს. ეს დაავადება ასევე არ გადაეცემა საერთო ჭურჭლის, აბაზანის, თეთრეულის და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით.

სამწუხარო ფაქტია ის, რომ, დღესდღეობით, მიუხედავად საზოგადოების ინფორმირებულობისა, აგრესია მაინც ვლინდება ინფიცირებული ადამიანების მიმართ. მათი გარიყვა არ არის საჭირო, რადგან აივ ინფექცია გადაეცემა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი 3 გზით.

სიპტომები: შიდსი ნელა პროგრესირებადი დაავადებაა, ანუ წლების განმავლობაში ინფიცირებულ ადამიანს არანაირი სიმპტომები არ აღენიშნება. დაინფიცირების მომენტიდან ცოტა ხანში შესაძლებელია, განვითარდეს ჩვეულებრივი გრიპის მსგავსი სიპტომები: სიცხე, ლიმფური კვანძების გადიდება და ა.შ. რომელიც ჩვეულებრივ მკურნალობის გარეშეც გაივლის. ამ სიპტომების გაქრობის შემდეგ, საშუალოდ 5-7 წლის განმავლობაში ადამიანს არაფერი არ აწუხებს, ის პრაქტიკულად ჯანმრთელია და მისი ინფიცირების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ აივ ინფექციაზე ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევის საფუძველზე. შემდეგ ეს, ე.წ. უსიმპტომო პერიოდი, გადის და იწყება გარკვეული დაავადებების გამოვლენა.

აივ ინფიცირებულს შეიძლება განუვითარდეს სხვადასხვა სახის დაავადება, მაგალითად: გახანგრძლივებული ფილტვების ანთება, ტუბერკულიოზი, მუქი ლაქისებური გამონაყარი ტანზე, სოკოვანი დაავადებები და სხვა. ყველაზე ხშირად გამოხატული სიმპტომებია: ლიმფური კვანძების გადიდება, ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამის საათებში, წონაში კლება (რა თქმა უნდა თუ ეს არ არის სტრესით ან დიეტით გამოწვეული) სხეულის მასის 10% და მეტი 1 თვის მანძილზე, საკმაოდ ძლიერად გამოხატული სისუსტე.

მკურნალობა: დღესდღეობით, შიდსისგან სრული განკურნება შეუძლებელია, მაგრამ არსებობს სპეციალური სახის მკურნალობა, რომელიც აივ ინფიცირებულ/ შიდსით დაავადებულ პიროვნებას სიცოცხლეს უხანგრძლივებს და სრულფასოვანს ხდის.

სასურველია, მოსახლეობამ ჩაიტაროს გამოკვლევა აივ ინფექციაზე, რადგან ადამიანის აივ ინფიცირების დადგენა მხოლოდ ამ გამოკვლევითაა შესაძლებელი. დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შემდგომი მკურნალობისათვის, რადგან დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, მკურნალობა უფრო ეფექტურია.

საქართველოში შექმნილია შიდსის დახმარების ფონდი, სადაც გაერთიანებულები არიან ინფიცირებულები, მათი ახლობლები, მეგობრები, ფსიქოლოგები, რომლებიც საკმაოდ დიდ დახმარებას უწევენ პაციენტებს, რადგან ასეთ ადამიანს ყოველთვის უჩნდება ფსიქოლოგიური პრობლემები.

ამ პრობლემებთან დაკავშირებით გვესაუბრება **შიდსის დახმარების ფონდის ფსიქოლოგი დედოფლისწყაროში** ნანა დათუკიშვილი:

**— რა ფსიქოლოგიური პრობლემები უჩნდებათ ინფიცირებულ ადამიანებს?**

— განსაკუთრებული კრიზისული სიტუაცია მაშინ იწყება, როცა ისინი იგებენ თავიანთ სტატუსს. ამ დროს მათ უჩნდებათ შიში ოჯახის წევრების დაკარგვის, საზოგადოებისგან გარიყვის. სტერეოტიპებისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო ხდება ასეთი ადამიანების გარიყვა, ხშირად მშობლებიც უარს ამბობენ ინფიცირებულ შვილზე. ამიტომ, ასეთი ადამიანები მალავენ თავიანთ დაავადებას.

მეორე კრიზისული სიტუაციაა მკურნალობა. ხშირად უარს ამბობენ მკურნალობაზე, რადგან ფიქრობენ, რომ ის მაინც ფატალური შედეგით დამთავრდება. თუ პაციენტი დათანხმდა მკურნალობაზე, მას ეწყება სტრესი, რადგან უწევს ყოველდღიურად წამლების მიღება, ეს სტრესი უფრო ხშირად მამაკაცებში ვლინდება. მაგრამ მათი მთავარი პრობლემა, მაინც ის არის, რომ საზოგადოებისგან ისინი უფრო მეტ აგრესიას იღებენ ვიდრე თანადგომას.

ასეთ ადამიანებთან ურთიერთობის გზები: პირველ რიგში ნუ გავკიცხავთ ასეთ ადამიანს და ნუ გამოვიძიებთ, თუ როგორ დაემართათ ეს. გამოვიჩინოთ თანადგომა, მაგრამ არ ვაგრძნობინოთ, რომ გვეცოდება. ჩვეულებრივ ადამიანად უნდა მივიღოთ, რომელსაც სურს საზოგადოებაში ინტერგრირება. საზოგადოება ჰუმანური უნდა იყოს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი თარიღი 21 მაისი, რომელსაც 1983 წელს ჩაეყარა საფუძველი, როგორც შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნის საერთაშორისო დღე, რომლის მიზანია, პატივი მივაგოთ შიდსით გარდაცვლილ 25 მილიონზე მეტ ადამიანს.

მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ატარებს წითელ ლენტს, როგორც აივ/შიდსის ინფექციის პრობლემის გაზიარების სიმბოლოს, ეს ლენტი 1991 წელს შექმნა მხატვარმა ფრანკ მურმა. წითელი ლენტი გამოხატავს სოლიდარობას, პროტესტს და იმედს.

ყველა ადამიანის ვალია, გამოხატოს მხარდაჭერა ინფიცირებულების მიმართ და წვლილი შეიტანოს აივ/შიდსთან ასოცირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაში.

შიდსის ცენტრში აივ ინფექცია/შიდსზე კონსულტირება, ტესტირება და მკურნალობა უფასოა.

შეგახსენებთ, რომ 1 დეკემბერი არის შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. ქვეყნის მაშტაბით მოქმედ ამბულატორიებში მოქალაქეებს უფასოდ შეუძლიათ აივ-ინფექციაზე ტესტის ჩატარება.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა.



## მონატრება

### ომარი ყატაშვილი



მონატრებასა და გულისტკივილში გაიარა ერთმა წელმა შენი გარდაცვალებიდან ჩვენო კეთილო, მშრომელო და ოჯახის ერთგული ადამიანო. ჩვენი მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება ის მძიმე წუთები, როცა შენ, უკურნებელი სენისაგან დაუძლურებული და ლოგინს მიჯაჭვული, სიკვდილს ეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ვერ მოერიე, ვერ აჯობე. რა არ ვიღონეთ, მაგარმ ამაოდ. შენ წახვედი და დაგვიტოვე სევდა და ტკივილი. მთელი წელია, შენი შვილები ფრიდონი და პაატა, შვილიშვილები: გიორგი, ხატია, ცოტნე, შენი და მაისო და მისი შვილები, შენი ძმისშვილები, ახლობლები და მეზობლები გიხსენებენ და შენი სულის საოხად სანთელს გინთებენ.ყველა წესი, რომელიც კი მიცვალებულს ეკუთვნის ერთი წლის მანძილზე, ყელაფერი შეგისრულეთ, სამუდამო სამყოფელიც მოგიწყეთ. 7 დეკემბერს მოვალთ შენს საფლავზე, აგინთებთ სანთელს, თავს წავუქცევთ ჭიქა ღვინოს, მოგიგონებთ სიყვარულითა და მონატრებით და სინანულით გეტყვით, რომ შვილთაშვილი, პატარა ნიკოლოზი შეგეძინა, შენ კი ვერ მოესწარი ამ სიხარულს. დრო გავა, გამრავლდებიან შენი შვილები, შვილიშვილები და მათ სულ მუდამ ემახსოვრები. მე კი, შენი ფრთამოტეხილი მეუღლე, სიცოცხლის ბოლომდე არ მოგაკლებ სანთელ-საკმეველს და ლოცვას, რათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა და განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**მეუღლე** თამარ ყანდაშვილი
**ქ. დედოფლისწყარო**

---

უახლოესი მეგობრები და თანამშრომლები: ელენა ბაიაშვილი, ნინო ფიროსმანაშვილი, ფიქრია ელიზბარაშვილი, თამარ ქადაგიძე, გენადი შიოლაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ია მარტყოფლიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ზურა, თეონა და ლევან სეფიაშვილებს მეუღლის და დედის გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მზიური ბალიაშვილი, შვილები: ლექსო, ცისანა, ძმა შოთა, დები: ეთერი, ნათელა გელაშვილები, დეიდაშვილები: ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ 83 წლის ასაკში გიორგობის დღეს გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის ყოფილი სოლისტი, საქართველოს მასშტაბით 2013 წელს გამოვლენილი კოლორიტული პიროვნება

ანზორ ალექსის ძე გელაშვილი

დაიკრძალა 26 ნოემბერს, ქ. რუსთავში.

# ნდობა, როგორც ურთიერთობების ქვაკუთხედი

***ნდობის ხიდი ისეთი რამაა, ერთხელ თუ ჩატყდა, მისი გამთელება ძალიან გაგიჭირდებათ. ეს იგივეა, ჭიქა გაგიტყდეთ, ის ახლიდან შეაწებოთ, მაგრამ მიხვდეთ, რომ ის ისეთი აღარასდროს იქნება, რაც მის დამტვრევამდე იყო. ნდობა ძვირფასი რამაა, თუკი მას უფრთხილდებიან.ამასთანავე, ყოველთვის გვინდა და გვჭირდება, რომ ადამიანები ჩვენს ნდობას ამართლებდნენ. გვჭირდება, რომ ვიღაცას ვეყრდნობოდეთ, ჩვენს ემოციებს, გრძნობებსა თუ ფიქრებს ვუზიარებდეთ. და გვინდა, რომ ეს რაც შეიძლება გულწრფელი იყოს. არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ იმასვე ველოდებით საპირისპირო მხარისგანაც.***

ამასთან, ნდობა ძალიან მყიფე რამაცაა. ის წლების განმავლობაში იგება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამს შეუძლია ეს წლობით ნაშენები დომინოს ეფექტით წააქციოს. ნებისმიერი უყურადღებო ქმედება, რომელიც ამ სიმყიფეს საფრთხეს უქმნის, ადამიანური ურთიერთობებისთვის დაბრკოლებაა. ტოლსტოის მშვენივრად აქვს ნათქვამი: „როდესაც გიღალატებენ, თითქოს ხელები მოგტყდათ – პატიება შეიძლება, მაგრამ ჩახუტება უკვე შეუძლებელი იქნება“. არც ისაა გასაკვირი, რომ ადამიანები იმათ უფრო ენდობიან, ვინც მათთან უფრო ახლოსაა. რეალურად, ნდობა სწორედ მეორე ადამიანის შეცნობის შედეგად წარმოიქმნება. მას კი გულწრფელობაც ახლავს თან, რომელიც ის მორალური თვისებაა მიღებული გადაწყვეტილებების ერთგულებასაც რომ გასწავლის და სხვების მიმართ გამოჩენილ ღიაობის პრინციპსაც ამყარებს.

ნდობის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება ხელოვნურად შეუძლებელია, მაგრამ უნდობლობის გადალახვა შესაძლებელი. ნდობა ადამიანის შინაგან მდგომარეობას აყალიბებს. ამ შინაგანი მდგომარეობის კონსტანტირება (დადგენა, არსებობის დადასტურება) შესაძლებელია და ეს არაა ბოლომდე ადამიანის არჩევანი. ეს, ძირითადად, მისი გამოცდილებებიდან გამომდინარეობს. ეს შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ასევე ფიქტიური, შუამავალი გამოცდილება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ნდობის კავშირი პიროვნების თვითმყოფადობასთან, მისი ფუნდამენტური უსაფრთხოების გრძნობით. თუ ჩვენ თავს დაუცველად ვგრძნობთ, ვერავის ვენდობით. სწორედ მაშინ აღმოვჩნდებით ხოლმე მდგომარეობაში: “მე მარტო ვარ ყველა ადამიანის წინააღმდეგ და მსოფლიოს ყველა პრობლემა ჩემი პრობლემაა”.

ზოგადად, ნდობა გრძელი, რთული და შრომატევადი პროცესის რეზულტატია. ის უნდა “გამოიმუშავო”. თითოეულ ადამიანში ჯერ პიროვნება, ჯერ პოზიტიური მხრიდან უნდა შევხედოთ და ყურადღება არ უნდა გავამახვილოთ მხოლოდ მის ნეგატიურ მხარეზე. თუ ეჭვი შეგვეპარება ადამიანში, ის ამას იგრძნობს და თვითონაც ფრთხილად იქნება. ზოგჯერ რამდენიმე თაობაც კი უნდა გამოიცვალოს, რომ საზოგადოება მსგავსი აზროვნებისთვის მომწიფდეს. თუ ინდივიდუალურად თითოეულ ადამიანზე ვისაუბრებთ, ნდობის სიმყარე ყოველთვის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდასთან ასოცირდება.

იმისთვის, რომ გავიგოთ, როგორ ვიურთიერთოთ სხვებთან, ჯერ უპირველესად, იმ ადამიანის შეცნობას იწყებ, ვისთანაც მუდმივად კონტაქტობ, ანუ საკუთარი თავის. თუ გვინდა, რომ სხვისი ნდობა დავიწყოთ, უპირველსად იმის გაგებას ვიწყებთ, თუ ვინ ვართ ჩვენ, რა ვიცით ჩვენს შესახებ, რა გვსურს, რა ვიცით მაშინ, როდესაც ვიზრდებით და ვიცვლებით. ჩვენ ვსწავლობთ ჩვენს ძლიერ მხარეებს, საზღვრებსა და ლიმიტებს. იმის ცოდნა, თუ რა შეგვიძლია და რა შესაძლებლობები გვაქვს, უპირველესად სწორედ საკუთარი თავის ნდობაში გვეხმარება. მაგრამ, ეს ისეთი მარტივიც არაა, როგორიც ჩანს. ვიცნობთ კი სინამდვილეში საკუთარ თავს? სამწუხაროდ, ბევრი რამ შეიძლება დაუპირისპირდეს ჩვენს ვარაუდებს ჩვენსავე შესახებ, სანამ არ მოხდება ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ცვლა შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილების ფონზე. სხვა ადამიანთან ურთიერთობის დამყარება ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება, რომლის პროცესშიც ვიკვლევთ თუ როგორ შეგვიძლია ურთიერთქმედება და ერთმანეთზე ზრუნვა. თითოეული რეგულარული ურთიერთობის დროს ჩვენ ვსწავლობთ თუ როდის, სად და როგორ ვენდოთ მეორე ადამიანს. ეს ცოდნა კი მარტო ჩვენ გაგვაჩნია. უფრო კონკრეტულად, პატარა სიის სახით, თუ როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ ნდობა, სტრესისა და მისი დამარცხების მწვრთნელმა ქართაგენ ბუკლიმ შემოგვთავაზა:

1. **იყავით მართალი საკუთარი სიტყვის წინაშე და მიჰყევით თქვენს ქმედებებს** -ნდობის აშენების საფუძველია ის, რომ სხვებმა თქვენი ნათქვამი დაიჯერონ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნდობის მოპოვება მოითხოვს მიცემული დაპირებების შესრულებას, ასევე იმ დაპირებების არ მიცემას, რომელსაც ვერ შეასრულებთ. თქვენი სიტყვის შესრულება აჩვენებს სხვას, თუ რას ელოდებით მათგან და უკუგების დროსაც, ისინი მეტი პატივისცემით მოგექცევიან.

2. **უნდა ვისწავლოთ ეფექტური კომუნიკაცია სხვებთან**-სუსტი ან ნაკლები კომუნიკაცია ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ ინგრევა ურთიერთობები. კარგი ურთიერთობა მოიცავს იმის გაგებასაც, თუ რა ვალდებულებები გაქვთ ან არ გაქვთ მეორე ადამიანთან. ამასთანავე, ნდობის მოპოვება რისკის გარეშე არ არსებობს. ეფექტური კომუნიკაციის გარეშე, თქვენ შეიძლება ის მესიჯები აღმოაჩინოთ, რომლის გაგზავნასაც აპირებდით ან ვერ გააგზავნეთ და პირიქით, ვერც მიიღეთ.

3. **შეახსენეთ საკუთარ თავს, რომ ნდობას დრო და მუშაობა სჭირდება**- ნდობის მშენებლობა ყოველდღიური ვალდებულებაა. შეცდებით, თუ ნდობის მოპოვებას მალევე დაელოდებით. ნდობის გასამყარებლად ჯერ პატარ-პატარა ნაბიჯები გადადგით, აიღეთ მცირე ვალდებულებები, შემდეგ კი, როცა ნდობა გაიზრდება, უფრო მარტივად შეძლებთ მეტი ვალდებულებების შესრულებას. ენდობი და სანაცვლოდაც ნდობას მიიღებ.



4. **აიღეთ დრო, სანამ რამეს გადაწყვეტთ და იფიქრეთ, სანამ სწრაფად იმოქმედებთ**-აიღეთ მხოლოდ ის ვალდებულებები, რომელთა შესრულებასაც ეთანხმებით და გაბედნიერებთ. იმყოფინეთ გამბედაობა, რომ თამამად თქვათ „არაც“, მაშინაც კი თუ ამით ვინმეს იმედს გაუცრუებთ. თუ რაღაცას ეთანხმებით, მაგრამ ამის შესრულება არ შეგიძლიათ, მაშინ გარშემო ყველა ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ზუსტად იცოდეთ თქვენი ვალდებულებები და მიჰყევით მათ. იყავით ორგანიზებული თქვენი ოჯახის, მეგობრების, კოლეგებთან ნდობის მოსაპოვებლად. ეს გეხმარებათ, მიიღოთ მკაფიო გადაწყვეტილება ეთანხმებით თუ არა იმ დახარჯულ დროსა და ენერგიას, რასაც აღებული ვალდებულებები მოითხოვს.

5. **დააფასეთ ის ურთიერთობები, რაც გაქვთ**-ნდობა ხშირად თანმიმდევრულობის შედეგია. ჩვენ გვინდა და გვჭირდება, რომ ყველაზე მეტი ნდობა გვქონდეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მუდმივად ჩვენს გვერდით არიან, როგორც კარგი, ასევე ცუდი პერიოდის განმავლობაში. ხოლო, თუკი მუდმივად აჩვენებთ ვინმეს, რომ თქვენც მსგავსად ხართ განწყობილი და მსგავსად იქცევით, ეს ნდობის მოპოვებისა თუ აღდგენის ეფექტური საშუალება იქნება.

6. **იყავით ყოველთვის გულწრფელი** - თქვენს მიერ გადმოცემული მესიჯი ყოველთვის სიმართლე უნდა იყოს. თუ ტყუილის თქმისას გამოგიჭერენ, რაც უნდა პატარა იყოს ის, თქვენი და თქვენს მიმართ ნდობა შემცირდება.

7. **დაეხმარეთ ხალხს როდესაც შეგიძლიათ**-სხვა ადამიანის დახმარება, თუნდაც ის არ გაძლევდეთ სარგებელს, ნდობას ამყარებს. ავთენტური სიკეთე ხელს უწყობს ნდობას.

8. **ნუ დამალავთ გრძნობებს**-ემოციების ჩვენება ხშირად ნდობის განმტკიცების ეფექტური საშუალებაა. გარდა ამისა, თუ ადამიანებმა იციან, რომ თქვენ ზრუნავთ, მათ უფრო მეტად გენდობიან თქვენ. ნდობის აღდგენაში ემოციური ინტელექტი დიდი როლს თამაშობს. თქვენი გრძნობების აღიარება, გაკვეთილების სწავლა და პროდუქტიული მოქმედების განხორციელება ნიშნავს, რომ თქვენ არ უარყოფთ რეალობას - ესაა სწორედ ნდობის მოპოვებისა თუ აღდგენის გასაღები.

9. **აღიარეთ შეცდომები** -შეცდომების დამალვისას სხვებმა იციან, რომ თქვენ არაკეთილსინდისიერად იქცევით. ყველა უშვებს შეცდომებს. თუმცა, თუ თქვენ იფიქრებთ, რომ შეცდომას არასდროს დაუშვებთ, სხვებს გაუჭირდებათ, რომ გენდონ. ეს კი იმ ზედმეტი განსხვავებით იქნება გამოწვეული, რომელიც სხვებთან ურთიერთობისას შექმენით. როდესაც ადამიანები ხედავენ თქვენს მუდმივ “სრულყოფის” რეჟიმს, ისინი სამწუხაროდ, ნაკლებადაც გენდობიან.

10. **ყოველთვის აკეთეთ ის, რისიც გჯერათ**-როდესაც ყოველთვის იმას აკეთებთ, რაც გგონიათ, რომ მართალია, მაშინაც კი, როდესაც სხვები არ ეთანხმებიან, იწვევს სხვების პატიოსნებას თქვენს მიმართ. საინტერესოა, რომ ნდობის დამყარებისას, ადამიანები, როგორც წესი, არ ენდობიან მათ, ვინც უბრალოდ ამბობს იმას, რაც სხვებს სურთ მოისმინონ.

**საბოლოოდ, წარმატებული ურთიერთობებისადმი ნდობის მნიშვნელობა ასე შეიძლება შეფასდეს: ეს არის ყოველი ჯანსაღი ურთიერთობის ქვაკუთხედი. ნდობის აშენება ყოველთვის არ არის ადვილი, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც ნებისმიერი სახის ურთიერთობის მიმართ ნდობის გასამყარებლად შეგიძლიათ. ალბათ, ნდობის საფუძველი, ყველაფერ ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, მაინც პატიოსანი კომუნიკაციაა. როგორც კი ტყუილი შეგვხვდება, ჩვენი სანდოობის ხარისხიც დაეცემა. ურთიერთობების სიმყარისთვის უპირველეს ყოვლისა, გულწრფელობაა აუცილებელი, დანარჩენი კი თავისთავად მოვა.**

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# ეგვიპტეში განძით სავსე სამალავი იპოვეს



ეგვიპტელმა არქეოლოგებმა საგანძური იპოვეს, სადაც 75 უძველესი ხისა და ბრინჯაოს ქანდაკებები და იეროგლიფებით გაფორმებული 5 ლომის მუმიაა მოთავსებული. არტეფაქტები საქარაში აღმოაჩინეს. ამის შესახებ Science Alert-ი წერს.

გარადა ამისა, მკვლევრებმა გათხრებისას მუმიფიცირებული კატები, კობრა, ნიანგი და ხოჭოები იპოვეს. არქეოლოგების თქმით, განძი ფარაონების 26-ე დინასტიის მმართველობის დროინდელია.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ ეგვიპტელმა არქეოლოგებმა 20-ზე მეტი უძველესი სარკოფაგი აღმოაჩინეს.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 02.12 | | სამშაბათი 03.12 | | ოთხშაბათი 04.12 | | ხუთშაბათი 05.12 | | პარასკევი 06.12 | | შაბათი 07.12 | | კვირა 08.12 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 6° | 0° | 3° | 0° | 4° | –1° | 1° | –1° | 0° | -2° | 2° | 1° | 3° | 2° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.